**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# იოანე ფლორენციელი

იოანე ფლორენციელი (გ. 1348), დომინიკელი ბერი, თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს პირველი ეპისკოპოსი (1329). შედიოდა იმ კათოლიკე მისიონერთა სიაში, რ-ებიც საქართველოში მოღვაწეობდნენ.

ი. ფ. საქართველოში თბილისის კათოლიკური საეპისკოპოსოს დაარსებამდე, დაახლ. 1318 ჩამოვიდა. ცნობები მისი პიროვნების შესახებ ძალზე მწირია. რომის პაპის, იოანე XXII-ის წერილიდან ვგებულობთ, რომ იგი დიდად განათლებული, მოკრძალებული და სათნოებით გამორჩეული პიროვნება ყოფილა.

ი. ფ-ს საფუძვლიანად ჰქონდა შესწავლილი საღვთო საგნები, კარგად იცოდა ქართული ენა და ქართ. ადათ-წესები; იგი სიყვარულით სარგებლობდა როგორც ქართველებში, ასევე საქართველოში მცხოვრებ არაქრისტიანებს შორისაც. მის სახელს უკავშირდება არაერთი წიგნის ქართულ ენაზე თარგმნა, თუმცა არც ერთ მათგანს ჩვენამდე არ მოუღწევია. ი. ფ-ს კათოლიკე ეკლესია დიდ მოღვაწედ და „მოციქულად ასახელებს.

*ლიტ.*: თ ა მ ა რ ა შ ვ ი ლ ი მ., ქართული ეკლესიის ისტორია, თბ., 1995; მ ჭ ე დ ლ ი ძ ე გ., XIX საუკუნის გამოუქვეყნებელი ისტორიული დოკუმენტები ქუთაისში მოღვაწე იტალიელი პატრების შესახებ, «ქართველოლოგია», 2015, N4.

***თ. მარგველაშვილი***